



სპეცოპერაცია სვანეთში: "კორუფციული სქემა ფინანსურ პოლიციასა და გარემოს დაცვის ინსპექციაში"

2018-07-26 16:46:26

437

ეს არის ერთი მხრივ, საჩვენებელი სადამსჯელო ოპერაცია და მეორეს მხრივ – პიარ სქემა, თითქოს მოიფიქრეს, როგორ ებრძოლონ ხე-ტყის უკანონო მოპოვებას. ასეთი მეთოდებით რა შეიცვლება? ძირითადი კორუფციული სქემები რჩება, რაზეც წლებია ლაპარაკობენ, მოსახლეობა თავად მიმართავს ინსპექციას, თუმცა უშედეგოდ, – ასე აფასებს სვანეთში – ჭუბერსა და ხაიშში ხე-ტყის უკანონო ჭრასთან დაკავშირებით მიმდინარე სპეცოპერაციას მწვანე ალტერნატივის წარმომადგენელი მანანა ქოჩლაძე. <http://accent.com.ge/ge/news/details/57209>



"ის რაც დღეს მოხდა, სრულიად გაუმართლებელია. ხელისუფლება საკუთარ ხალხს არ უნდა ელაპარაკოს პოლიციის ძალით, დაუშვებელია დაძაბულობის მსგავსი კერების შექმნა. დღეს გავრცელდა ფოტო-მასალა, როგორ ჩამოაქვს ადიდებულ ენგურს მორები. ჩვენ არ ვიცით ხე-ტყის უკანონო ჭრის შედეგია ეს თუ არა. ჭებერში ორი ლიცენზიაა გაცემული. კადრებზე დანახვით ანალიზის გაკეთება კი არასერიოზულია.

რაც შეეხება ჭებერში მომხდარ სტიქიას, გარემოს ეროვნულმა სააგენტომაც გააკეთა განცხადება, რომ ეს იყო მაღალი ტემპერატურისა და დნობის შედეგად წარმოშობილი სტიქიური მოვლენა და ხე-ტყის მოპოვებასთან არ იყო კავშირში", – ამბობს ქოჩლაძე.

მისივე თქმით, ხე-ტყის ჭრა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა და მისი დარეგულირება სოფლებში შევარდნით ვერ მოხერხდება:

"თუ დააკვირდებით, 2015 წლიდან სვანეთის გამოსასვლელში დგას ფინანსური პოლიცია და გარემოს დაცვის ინსპექცია. მათი მთავარი დანიშნულებაა, არ გამოატარონ უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე. ზოგჯერ პოლიცია ჩვეულებრივ მანქანებსაც აჩერებს და ამოწმებს, გამოაქვს თუ არა ხე-ტყე. სვანეთს სხვა გამოსასვლელი არ აქვს. შესაბამისად, თუ ხე-ტყე იჭრება, ეს არის მაფიოზური შეთანხმება და ისევ ფინანსურ პოლიციასა და გარემოს დაცვის ინსპექციასთან არის დაკავშირებული. სხვაგვარად წარმოუდგენელია როგორ გამოდის ამ რაოდენობის უკანონო ხე-ტყე, რაზეც ახლა პრეტენზიას აცხადებს სახელმწიფო. სად იყო სახელმწიფო ამ სამი წლის განმავლობაში? ნაცვლად იმისა, რომ კონტროლის უკეთესი მექანიზმები მოიფიქრონ და ებრძოლონ კარგად ჩამოყალიბებულ კორუფციულ სქემებს, მათ რატომღაც ომი სოფლის მოსახლეობასთან დაიწყეს.

დღეს ფინანსურმა პოლიციამ გააჟღერა, რომ "ყალბი საბუთებით ხდებოდა

გამოტანაო". ვიდაც ხომ წერდა ამ საბუთს? ე.ი. მოკვლევა უნდა დაწყებულიყო და გასულიყო გამოძიება იმ პირებზე, რომლებსაც ხელენიფება დოკუმენტებზე ხელის მონერა",- აცხადებს გარემოსდამცველი.

შეგახსენებთ, რომ საზოგადოებრივმა მაუნყებელმა დღეს გაავრცელა ფოტო "როგორ მიაქვს ადიდებულ მდინარეს სარეალიზაციოდ გამზადებული ხე-ტყე".

1TV.GE

როგორ მიაქვს ადიდებულ მდინარეს სარეალიზაციოდ გამზადებული ხე-ტყე [ფოტო]

14:38, 26.07.2018

სვანეთში ბოლო წყალდიდობის დროს, ადიდებულმა მდინარე ენგურმა მოჭრილი ხე-ტყე წაიღო. 1tv.ge-მ მოიპოვა რამდენიმე ფოტო, რომელზეც ეს ფაქტია ასახული. სავარაუდოდ, ხის მასალა უკანონოდ იყო მოჭრილი და სარეალიზაციოდ გამზადებული, თემცა წყალდიდობის დროს მდინარეში წაიღო.

1TV.GE

სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსი ერასტი როდონაია კი აცხადებს, რომ ფოტომასალას ხე-ტყის უკანონო ჭრასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

მისი განმარტებით, ფოტოზე გამოსახული ხის მასალა წყალსაცავის ადმინისტრაციის მიერ განგებაა ერთ ადგილას დაგროვილი და ეს არის არა სარეალიზაციოდ გამხადებული ხე-ტყე, არამედ ნარჩენებია, რომელიც მდინარეს მოაქვს. მისი თქმით, 2 თვის წინ თავადაც იმყოფებოდა ფოტოზე ასახულ ადგილზე ხის ნარჩენები მაშინაც დახვდა.

მისივე განმარტებით, ფოტოს მარცხენა ნაწილში ჩანს, რომ მდინარეში დაგროვილი ნარჩენები სწორ კონტურს ქმნის, რაც ბლუდის არსებობაზე მიუთითებს, რომელიც მათ წყალვარდნილზე მოხვედრისა და ტურბინების დაზიანებისგან აკავებს:

“ამ ფოტოს თუ დააკვირდებით, კადრში ზემოთა მხარე სვანეთის მხარეა და უსწორმასწოროა. ქვემოთ კი სწორი ხაზია. მაგ ადგილას არის სპეციალურად წყალსაცავის ადმინისტრაციის მიერ გაჭიმული ბლუდე, რომლის დანიშნულებაც არის, რომ ნაგავი არ მოხვდეს წყალვარდნილზე და ტურბინები არ გაჭედოს. ეს ნაგავი დიდი პერიოდის განმავლობაშია დაგროვილი. ორი თვის წინ რომ ავედი, მაშინაც იყო. ახლა, ამ წყალვარდნილობის დროს რაც ჩამოიტანა, გააჩერა მანდ. შეიძლება იყოს როგორც მორი, ასევე მთლიანი ხე, მოსახლეობის ნარჩენები გადაყრილი და უბრალოდ ნაგავიც. არანაირი კავშირი არ აქვს ხე-ტყის რეალიზაციასთან” – ამბობს როდონაია “ნეტგაზეთთან” საუბრისას.

ცნობისთვის: დღეს სვანეთში სპეცრაზმი შევიდა. ადგილზე სიტუაცია დაიძაბა. ამ დროისთვის სიმშვიდეა, თუმცა სპეცრაზმიც და მოსახლეობაც ადგილზე რჩება და ხელისუფლების წარმომადგენლებს ელოდებიან.

<http://accent.com.ge/ge/news/details/57214>